

ეპილევსია და COVID-19-ის ვაქცინაცია

ბუნებრივია, რომ ეპილევსიის საკითხებზე დაინტერესებული მკითხველი შეშფოთებულია COVID-19 -ის ვაქცინაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხით. კერძოდ, პაციენტებსა და მათ მეურვეებს აინტერესებთ, შიძლება თუ არა ვაქცინაცია ეპილევსიის მქონე ადამიანისთვის, როგორ იმოქმედებს COVID-19-ის ვაქცინა ეპილევსიის მიმდინარეობასა და ზოგადად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ვაქცინა ხომ არ ცვლის კრუნჩხვების საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედებას, რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს ეპილევსიის მქონე ადამიანი ვაქცინაციამდე და ა.შ.. აღნიშნულის საპასუხოდ ეპილევსიის საერთაშორისო ლიგა (ILAE) და ამერიკის ეპილევსიის ასოციაცია (AES) იძლევა პასუხებს ყველა იმ მნიშვნელოვან შეკითხვებზე, რომელიც საინტერესოა ეპილევსიის მქონე პირებისა და მათი ახლობლებისთვის.

COVID-19 მსოფლიო პანდემიაა, რომელმაც დასაწყისიდან დღემდე იმსხვერპლა 4,700,000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ ვირუსს შეუძლია დაასნებოვნოს ნებისმიერი ასაკის ადამიანი და ხელი შეუწყოს მძიმე დაავადებების განვითარებას, ხანდაზმულები და ის პირები, რომლებსაც სხვადასხვა სამედიცინო მდგომარეობა აქვთ, ვირუსით დასნებოვნებისა და ძირითადი დაავადების მნიშვნელოვანი დამძიმების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

დღეისათვის, აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის მიერ (FDA) გადაუდებელი გამოყენებისთვის ავტორიზებულია COVID-19-ის სამი ვაქცინა; დანარჩენი ვაქცინები გადიან ავტორიზაციის პროცესს. ინფორმაცია COVID-19-ის ვაქცინების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ CDC ვებგვერდზე ([CDC's website](https://www.cdc.gov)).

რას ნიშნავს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია?

გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია (EUA) არის ნებართვა, რომელიც ხელს უწყობს განსაკუთრებული სამედიცინო მდგომარეობების შემთხვევებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას, როგორცაა ვაქცინაცია. ვინაიდან COVID-19 არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობა, ზოგიერთმა ვაქცინამ, როგორცაა „მოდერნა“ (Moderna), „ფაიზერი“ (Pfizer) და „ჯონსონი და ჯონსონი“ (J&J), უკვე მიიღო გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია.

FDA-ს მიერ ფაიზერის (Pfizer) ვაქცინას მიენიჭა 12 წლისა და უფროსი ასაკის მოზარდებში გადაუდებელი გამოყენების უფლებამოსილება.

ვინ უნდა ჩაიტაროს COVID-19-ის ვაქცინაცია?

ვაქცინაციის საკითხი გარკვეულ შფოთვას იწვევს თითოეულ პიროვნებაში. ვინაიდან ყველა ადამიანისთვის რისკები ინდივიდურია, მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინაციამდე ადამიანი წინასწარ გაესაუბროს თავის პირად ოჯახის ექიმს და გაარკვიოს ყველა ის საკითხი, რომელიც აწუხებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან, გახსოვდეთ, რომ ვაქცინაციის გვერდითი ეფექტების თავიდან აცილების მიზნით, ვაქცინაციამდე მაქსიმუმ ბოლო 3 თვის მანძილზე, ეპილევსიის მქონე პირებს გადამოწმებული უნდა გქონდეთ შემდეგი მონაცემები:

- სისხლის საერთო ანალიზი
- ღვიძლის ფერმენტების მაჩვენებლები
- კოაგულოგრამა
- სისხლში ანტიკონვულსანტის კონცენტრაციის მაჩვენებელი
- სტანდარტული ელექტროენცეფალოგრაფიული კვლევის შედეგები

და მკურნალი ეპილევტოლოგის მხრიდან, აღნიშნული კვლევების საფუძველზე, მიღებული უნდა ჰქონდეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

ყველანაირად ჯანმრთელი ვარ და უნდა ჩავიტარო ვაქცინაცია?

ჯანმრთელი პირები არანაირად არ არიან დაცული COVID-19-ის ინფიცირებისგან; ინფიცირებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სხვადასხვა დაავადების განვითარებასა და თავად ინფექციის მიმდინარეობის დამძიმებას. ამიტომ, ვაქცინაცია რეკომენდებულია როგორც თქვენი, ისე თქვენი გარშემომყოფებისთვის, რომლებიც, შესაძლოა, კიდევ უფრო დაუცველები არიან COVID-19-ის მიზეზით სხვადასხვა დაავადებათა დამძიმების კუთხით.

მე უკვე მქონდა COVID-19 და გამოვჯანმრთელდი. კიდევ მჭირდება ვაქცინის გაკეთება?

დღეისათვის ჯერ კიდევ უცნობია, ინფიცირების შემდეგ ადამიანი კიდევ რამდენი ხნით იქნება დაცული COVID-19-ის განმეორებითი ინფიცირებისგან. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, COVID-19-ით ავადობის შემდეგ ბუნებრივი იმუნიტეტი შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს.

სპეციალისტები გვიჩვენებენ, რომ პირებს, რომლებსაც გადატანილი აქვთ COVID-ინფექცია, მაინც უნდა ჩაიტარონ ვაქცინაცია.

ამასთან, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, თუ თქვენ COVID-19-ით ავადობისას მკურნალობდით მონოკლონური ანტისხეულებით ან COVID-19-სგან გამოჯანმრთელებულის პლაზმით, ვაქცინაცია უნდა ჩაიტაროთ მკურნალობის ჩამთავრებიდან 90 დღის (3 თვის) შემდეგ.

შუბლიათ თუ არა ვაქცინირება ორსულებსა და მეძუძურ დედებს?

ზოგადად, ორსულებმა და მეძუძურმა დედებმა, ისევე როგორც ეპილევსიის მქონე ორსულებმა და მეძუძურმა დედებმა, უნდა ჩაიტარონ ვაქცინაცია. დამატებითი კითხვების შემთხვევაში უნდა მიმართონ პირად ექიმს, გინეკოლოგს და საჭიროებისას - ეპილევტოლოგს.

უნდა ჩაიტარონ ვაქცინაცია 12-15 წლის ბავშვებმა რომლებსაც ეპილევსია აქვთ?

ეპილევსიით დაავადებული მოზარდების მსგავსად, ამჟამად არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მხოლოდ ეპილევსიური კრუნჩხვების მქონე ბავშვებს, თუ მათ არა აქვთ სხვა რისკ-ფაქტორები, გააჩნიათ ვაქცინის გვერდითი ეფექტების უფრო მაღალი რისკი, ვიდრე სხვა ამ ასაკობრივი ჯგუფის პოპულაციას. ამიტომ, გირჩევთ, რომ ამ ასაკის ეპილევსიით დაავადებულ ბავშვებს, რომლებიც სხვაგვარად აკმაყოფილებენ ვაქცინაციის კრიტერიუმებს, ასევე ჩაუტარდეთ აცრა COVID-19-ის წინააღმდეგ.

ნუთუ ნიღაბი, სოციალური დისტანცირება და თვითიზოლაცია არ არის COVID- ვაქცინაციისთვის ეფექტური ალტერნატივა?

COVID-19-ის გავრცელების მასშტაბის გათვალისწინებით, პანდემიის შესაჩერებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი იმუნიტეტის გამომუშავება ვაქცინაციის გზით. COVID-19-ის ვირუსი საზოგადოებაში ხშირად ვრცელდება იმ ადამიანებისგან, რომლებსაც სიმპტომები არა აქვთ.

ზოგადად, ადამიანი შეიძლება გადამდები იყოს ინფიცირებიდან 14 დღის განმავლობაში. ის პიროვნება, ვინც ინფიცირებულია და COVID-19-ის კლინიკური სიმპტომები არა აქვს, შესაბამისად, არც იცავს სოციალური დისტანცირებისა და თვითიზოლაციის პრინციპებს, რის გამოც შეუძლია დააინფიცროს მასთან კონტაქტში მყოფი პირები მთელი ავადობის პერიოდში; ხოლო მათ, ვისაც უვლინდება სიმპტომები, სხვები შეიძლება დააინფიცრონ ჯერ კიდევ სიმპტომების გამოვლენამდე ორი დღით ადრე. დაავადებათა კონტროლის უახლესი მითითებების თანახმად, ჯერჯერობით, შენობაში ნიღბის გარეშე ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ სრულად ვაქცინირებულ ადამიანებს თუ ისინი კონტაქტში არიან სხვა ასევე სრულად ვაქცინირებულ პირებთან, რაც ამ ეტაპზე რთული განსასაზღვრია. ამიტომ, მანამ, სანამ დამატებითი ინფორმაცია არ გვექნება, ისევე, როგორც არავაქცინირებულებმა, სრულად აცრილმა ადამიანებმა უნდა გააგრძელონ ნიღბის ტარება და სხვებისგან დისტანცირება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი იმყოფებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მრავალწევრიან ოჯახებში ნიღბის ტარება აუცილებელია სახლშიც ოჯახის იმ წევრთან ურთიერთობისას, რომელსაც სხვა რაიმე მიმედ მიმდინარე დაავადება აქვს.

არის თუ არა COVID-19-ის ვაქცინა უსაფრთხო?

ზოგადად, დღემდე არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ვაქცინები ძალზე უსაფრთხოა. თითოეული ვაქცინის დამტკიცებამდე, ვაქცინის უსაფრთხოებას FDA აფასებს კლინიკური კვლევების მონაცემებით, რომლებშიც მონაწილეობა მიღებული აქვს 30,000-40,000-ზე მეტ ადამიანს. ამასთან, FDA-ს მხრიდან, ვაქცინის გადაუდებელი გამოყენების ვიზირებისთვის, ვაქცინის მწარმოებელი კომპანია ვალდებულია, თვალი მიადევნოს და აკონტროლოს კვლევის მონაწილეთა მინიმუმ ნახევარი ვაქცინის ორივე დოზის მიღების შემდგომი ორი თვისა და მეტი ხნის განმავლობაში, და ამ პერიოდში ვაქცინამ უნდა გამოავლინოს როგორც ეფექტურობა, ისე უსაფრთხოება. გარდა იმისა, რომ ვაქცინის უსაფრთხოების საკითხებს ამოწმებს FDA, აღნიშნულ საკითხებს ასევე განიხილავს იმუნიზაციის პრაქტიკის მრჩეველთა საბჭო (ACIP), რომელიც იწვევს ვაქცინების უსაფრთხოების ექსპერტთა ჯგუფებს და ეს ექსპერტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აფასებენ უსაფრთხოების ყველა დეტალს. ეს ნიშნავს, რომ ექსპერტთა მინიმუმ ორმა ჯგუფმა ყურადღებით უნდა განიხილოს თითოეული ვაქცინის მონაცემები. COVID-19-ის ვაქცინებს სწორედ ეს ეტაპები აქვთ გავლილი და გარდა ამისა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) ამჟამად აგრძელებენ ვაქცინების უსაფრთხოების მონიტორინგს, რომლებიც რეგულარულად უზიარებენ მკაფიო და ზუსტ ინფორმაციას ჯანდაცვის პროვაიდერებსა თუ საზოგადოებას.

COVID-19-ის ვაქცინა ძალიან სწრაფად შეიქმნა; ხომ არ შეკვეცეს ვაქცინის უსაფრთხოების საკითხების შესწავლის პერიოდი?

COVID-19-ის ვაქცინები გადიან უსაფრთხოების ისეთივე მკაცრ შეფასებებს, როგორც სხვა ვაქცინები, უსაფრთხოების საკითხების შესწავლის პერიოდის შეკვეცის გარეშე. COVID-19-ის ვაქცინა იყენებს ახალ ტექნოლოგიას, რომლის მეშვეობითაც ხდება ორგანიზმში საინფორმაციო რნმ-ის და არა ვირუსის ნაწილის შეყვანა. რნმ-ინფორმატორი (მესენჯერი) შეიცავს მითითებებს, თუ როგორ უნდა შექმნას ადამიანის ორგანიზმმა COVID-19-ის ვირუსის მსგავსი ცილა (და არა თვით ვირუსი), რომლის მიმართაც თქვენი სხეულის იმუნური სისტემა გამოიმუშავებს ანტისხეულებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაინფიცირდებით COVID-19-ის ვირუსით, თქვენი ორგანიზმი უკვე სწრაფად ამოიცნობს მის ცილას და მზად იქნება ინფექციასთან საბრძოლველად ადრეულ ეტაპებზევე, რაც თავიდან აგაცილებთ სერიოზული გართულებების განვითარებასა და არსებული დაავადებების მიმდინარეობის დამძიმებას.

იმის გამო, რომ COVID-19-ის ვაქცინა შეიქმნა უფრო სწრაფად, ვიდრე ადრინდელი ვაქცინები, ზოგიერთ ადამიანს ეშინია, რომ ის ნაჩქარევად შექმნილი. გენეტიკაში მიღწეულმა წარმატებებმა მეცნიერებს

საშუალება მისცა ძალიან სწრაფად დაედგინათ COVID-19-ის ვირუსის გენეტიკური კოდი, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სწრაფადვე შექმნილიყო COVID-19-ის ვაქცინისთვის აუცილებელი რნმ - ინფორმატორი (მესენჯერი). ეს ვაქცინები ძალზე სკულპულოზურად იქნა შესწავლილი, ხოლო მათი გვერდითი მოვლენები კონტროლირდებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ვაქცინირებულ მოხალისეებზე ხანგრძლივი დაკვირვებით. მტკიცებულება გვიჩვენებს, რომ ეს ვაქცინები ძალიან უსაფრთხოა.

იწვევს თუ არა ვაქცინა კრუნჩხვებს?

დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტების ჯგუფმა, რომლებმაც განიხილეს ვაქცინების გვერდითი ეფექტები, დაადასტურეს რომ ზოგიერთმა ვაქცინამ (მაგ.: J&J), ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვები იმ ადამიანებში, რომლებსაც ვაქცინაციისას აღენიშნებათ სისხლის შედედების ცვლილებები ორგანიზმში, და შესაბამისად, თავის ტვინშიც.

როდესაც ადამიანს, რომელსაც აქვს მიდრეკილება სისხლის შედედების მაჩვენებლების მატებისკენ, ვაქცინაციამ, შესაძლოა, ბიძგი მისცეს სისხლის შედედების ფაქტორების გააქტივებას, რაც ანელებს თავის ტვინში სისხლის ნაკადის მოძრაობის სიჩქარეს. აღნიშნულმა ფაქტორებმა კი, შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვები, თუმცა, ასეთ შემთხვევაში კრუნჩხვები ყოველთვის არ ნიშნავს ეპილეფსიის არსებობას.

ისევე, როგორც ნებისმიერი ვაქცინის შემთხვევაში, COVID-19-ის ვაქცინაციის შემდეგ, ზოგიერთ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ცხელება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინში კრუნჩხვების შემაკავებელი მექანიზმების შესუსტება და გააადვილოს კრუნჩხვების აღმოცენება. ამჟამად არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ დღეისათვის აღიარებული ვაქცინები იწვევენ ეპილეფსიის მიმდინარეობის ან ტვინის დაზიანების გამწვავებას. ისევე, როგორც არ არსებობს მტკიცებულებები ეპილეფსიით დაავადებულთა შორის ვაქცინების გვერდითი ეფექტების მომატებული რისკების შესახებ.

რა ზემოქმედებას ახდენს კოვიდ-19-ის ვაქცინა ეპილეფსიური გულყრების საწინააღმდეგო წამლებზე?

ეპილეფსიის მართვის საერთაშორისო ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მედიკამენტებისა და ჯანმრთელობის პროდუქტების მარეგულირებელზელმა სააგენტომ (MHRA) COVID-19 -ის ვაქცინა დაამტკიცა როგორც უსაფრთხო პრეპარატი.

სამედიცინო დანიშნულების სამკურნალო პრეპარატებისა და სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სააგენტოს მონაცემებით (MHRA- [Medicines and Healthcare products Regulatory Agency](#)) COVID-19-ის ვაქცინასა და სხვა, მათ შორის ანტიეპილეფსიურ მედიკამენტებს შორის პათოლოგიური ტიპის ურთიერთქმედების რისკები მიჩნეულია როგორც ძალზე დაბალი.

რა გვერდითი მოვლენები დაფიქსირდა COVID-19-ის ვაქცინების კლინიკურ კვლევებში?

ადამიანების დაახლოებით 15% -ს ვაქცინაციის მიდამოში უვითარდება ადგილობრივი ტკივილი ან შემუშუპება, რომელიც მალე ქრება. ადამიანების დაახლოებით 50% -ს აღენიშნება თავის ტკივილი, შემცივნება, დაღლილობა, კუნთების ტკივილი ან ცხელება, რომლებიც ასევე დროებითი მოვლენაა (გრძელდება მოკლე დროით) და მიაწინებს, რომ თქვენი იმუნური სისტემა რეაგირებს ვაქცინაზე.

ადამიანთა მცირე ნაწილმა აღნიშნა ალერგიული რეაქციები.

პირებს, რომლებსაც მძიმე ალერგიული რეაქციები ჰქონდათ წინა ვაქცინაციებზე, აუცილებლად უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან, რომელიც ურჩევს, თუ როგორ დააბალანსონ ალერგიული რეაქციების უცნობი რისკები და ვაქცინაციის სარგებელი. ვაქცინაცია დასაშვებია პირველი ვაქცინაციისას გამოვლენილი მძიმე ალერგიული რეაქციის მქონე პაციენტების შემთხვევაშიც, თუმცა, დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების ყველა პირობა, როგორცაა დაკვირვება და მონიტორინგი ვაქცინაციიდან 30 წუთის

განმავლობაში. ვაქცინა რეკომენდირებულია სხვა სახის ალერგიის მქონე ადამიანებისთვისაც, როგორცაა საკვები ალერგია, მტკვერი ან სხვა ნივთიერებები.

COVID-19-ის ვაქცინის შემდეგ თრომბების წარმოშობის ექვსი მძიმე და იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა ადამიანებში, რომლებიც ვაქცინირებული იყვნენ J&J- ვაქცინით. ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა არსებული მონაცემები თრომბოციტების დაბალი რაოდენობის შემთხვევაში თრომბების წარმოშობის რისკების შესაფასებლად. FDA- მ დაადგინა, რომ 18 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ვაქცინაციის ცნობილი და პოტენციური სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება ვაქცინაციის ცნობილი და პოტენციური გვერდითი ეფექტების რისკებს. ამჟამად არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ დაქვეითებული თრომბოციტების მქონე პირებში თრომბების წარმოქმნის რისკები ძალიან დაბალია. CDC- ის თანახმად, 50 წლამდე ქალბატონებმა უნდა იცოდნენ იმის შესახებ, რომ J&J- ვაქცინით ვაქცინაციის შემდეგ, შესაძლებელია, განვითარდეს თრომბოციტების რაოდენობის დაქვეითება და კანზე სისხლის ლაქების წარმოშობა, რაც ძალზე იშვიათი რისკია, თუმცა, მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ დღეისათვის ხელმისაწვდომია სხვა COVID-19 ვაქცინებიც, რომელთა შემთხვევაშიც ასეთი რისკები არ დაფიქსირებულა.

არსებობს უსაფრთხოების მონიტორინგის მრავალი სისტემა ვაქცინების გვერდითი მოვლენების (გვერდითი ეფექტების) დასადგენად, მათ შორის V-safe, სმარტფონზე დაფუძნებული პოსტ-ვაქცინაციის ჯანმრთელობის სკრინინგი ადამიანებისთვის, რომლებიც იკეთებენ COVID-19 ვაქცინას, და ვაქცინის გვერდითი ეფექტების ანგარიშგების სისტემა (VAERS), რაც გულისხმობს გვერდითი ეფექტების შეტყობინებას ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის, ვაქცინის მწარმოებლებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

ეპილეფსიით დაავადებულებს ხომ არა აქვთ COVID-19 -ვაქცინის გვერდითი ეფექტების უფრო მაღალი რისკი?

არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებს ვაქცინაციის შემდგომი გვერდითი ეფექტების უფრო მაღალი რისკი აქვთ ვიდრე ეპილეფსიის არმქონე პირებს. ნებისმიერი ვაქცინის მსგავსად, ზოგიერთ ადამიანს, მათ შორის ეპილეფსიის მქონე პიროვნებსაც, შეიძლება განუვითარდეს გვერდითი მოვლენები (ინექციის მიდამოში ტკივილი, ცხელება, თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე და სხვა), რომლებიც ძალიან მალე უკუვითარდება. არ არსებობს მტკიცებულება, რომ COVID-19 - ის ვაქცინაცია იწვევს ეპილეფსიის ან ტვინის დაზიანების გაუარესებას.

უნდა აარიდონ თავი COVID-19-ის ვაქცინაციას იმ პირებმა რომლებსაც ცხელების ფონზე უვითარდებათ კრუნჩხვები?

სხეულის ტემპერატურის მატება (ცხელება) ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენაა ვაქცინაციის შემდეგ. ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის ვაქცინის მიღების შემდეგ გვერდითი ეფექტის სახით ხშირად ვლინდება ცხელება, რაც მიანიშნებს იმუნიტეტის შესაქმნელად ორგანიზმის იმუნური სისტემის რეაგირებაზე. ეპილეფსიით დაავადებულ ზოგიერთ ადამიანს კრუნჩხვები აღენიშნება ცხელების ფონზე. თუმცა, არსებული მონაცემები COVID-19- ის რისკებისა და COVID-19-ის ვაქცინების გვერდითი მოვლენების უსაფრთხოების საკითხების გაანალიზებამ გვიჩვენა ვაქცინაციის მნიშვნელოვანი სარგებელი.

თუ თქვენ ან თქვენ ახლობელს ცხელებასთან დაკავშირებული ეპილეფსიური გულყრები აქვს, ვაქცინაციასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გაესაუბროთ მკურნალ ექიმს შემდეგ საკითხებზე:

1. როგორია COVID-19-ის ვაქცინის კონკრეტული სარგებელი და რისკები თქვენთვის ან თქვენი საყვარელი ადამიანისთვის?
2. სად უნდა ჩაიტაროთ თქვენ ან თქვენმა ახლობელმა ვაქცინაცია?

3. როგორ უნდა იმოქმედოთ და ვის უნდა მიმართოთ, თუ თქვენ ვაქცინის მიღების შემდეგ გაგინვითარდებათ ცხელებასთან დაკავშირებული გულყრა?

რამდენად ეფექტურია COVID-19-ის ვაქცინა?

ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ COVID-19-ის ვაქცინები ავლენენ მინიმუმ 90%-მდე ეფექტურობას ორი დოზის მიღების შემდეგ, რაც გამოიხატება კოვიდ-ინფექციის მძიმე ფორმების განვითარების თავიდან აცილებაში. ჯერ კიდევ არასაკმარისი კვლევებია იმის დასადასტურებლად COVID-19-ის ვაქცინა სრულად იცავს ადამიანს დაინფიცირებისგან თუ უბრალოდ ხელს უშლის დაავადების განვითარებას.

რამდენი ხანი გრძელდება COVID-19-ის ვაქცინაციის ეფექტები?

ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს დაიცავს ადამიანს ეს ვაქცინა. შესაძლოა, საჭირო გახდეს პერიოდული რევაქცინაცია, ისევე, როგორც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციების შემთხვევაში.

სად უნდა ჩავიტარო ვაქცინაცია?

ვაქცინაციის ცენტრებისა და ვაქცინაციის ნებისმიერ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დარეკოთ

ცხელ ხაზზე - ტელ.: 1522

ან ინფორმაცია მოიძიოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის **ვებ-გვერდიდან**: <https://vaccines.ncdc.ge/>

საქართველოში ხელისაწვდომია შემდეგი ვაქცინები:

- ფაიზერი (აშშ) - რეკომენდებულია 12 წლისა და უფროსი ასაკის პირებისთვის;
- ასტრა-ზენეკა (ინგლისი)- რეკომენდებულია ხანშიშესულობის ასაკიდან
- სინოფარმი (ჩინეთი) - 18 წელზე მეტი ასაკის პირებისთვის
- სინოვაკი (ჩინეთი)- 18 წელზე მეტი ასაკის პირებისთვის

ყველა მათგანი კეთდება ორჯერადად;

დოზებს შორის ინტერვალებია:

- ფაიზერისთვის - 21 დღე
- ასტრა-ზენეკასთვის - 28-დღე
- სინოფარმისთვის - 28 დღე
- სინოვაკისთვის - 28 დღე

მასალა მოამზადა

ეპილეფსიის საერთაშორისო ლიგის ქართულმა განყოფილებამ (GLAE)

ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის

ეპილეფსიის კონტროლისა და პრევენციის სამეცნიერო-პრაქტიკულმა ცენტრმა

დამატებითი შეკითხვებისთვის მოგვმართეთ ეპილეფსიასთან ბრძლის საერთაშორისო ლიგის ქართული განყოფილების ვებ-გვერდზე:

<http://www.glae.org.ge>